

ქალის რიტუალური გაუწმინდურების იდეა იუდეო-ქრისტიანულ
კულტურასა და ქართულ ფოლკლორში

ხატია ტარტარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ტარტარაშვილი

08.02.2022

აბსტრაქტი

იუდეურ კულტურაში ადამიანის რიტუალური გაუწმიდურება შეიძლება მრავალმა ფაქტორმა განაპირობოს, რომელთაგან ზოგი ადამიანის შიგნითაა, ზოგს კი გარემო ფაქტორები განაპირობებს. უწმიდურების პერიოდი დამოკიდებული იყო უწმიდურების მიზეზზე. აღნიშნულ პერიოდში ადამიანები იზოლირებულნი იყვნენ საზოგადოებისგან, განსაკუთრებით კი ტაძრისგან. რიტუალური გაუწმიდურების ერთ-ერთს წყაროს წარმოადგენს ქალის რეპროდუქციული ფუნქცია. მენსტრუაციის დროს ქალი და მასთან ერთად ყოველივე, რასაც (ვისაც) იგი შეეხებოდა, რიტუალურად უწმინდურად ითვლებოდა. ამიტომ, აუცილებელი იყო აღნიშნულ პერიოდში ქალის დისტანცირება როგორც ოჯახისგან, ასევე ტაძრისგან. ქალის რიტუალური გაუწმიდურების ძირითად წყაროს წარმოადგენდა მესტრუაცია, საშვილოსნოს არანორმალური და პოსტნატალური სისხლდენა.

ქრისტიანულ კულტურაში ქალის რეპროდუქციული ფუნქცია ასევე გახდა მისი რიტუალურად გაუწმიდურების მიზეზი. მსგავსად იუდეურ კულტურაში არსებული წესებისა, ქრისტიანულ კულტურაში მენსტრუაციის და პოსტნატალურ პერიოდში ქალს ეკრძალება სიწმინდეებთან შეხება. იმისათვის, რომ ქალმა შეძლოს ეკლესიაში შესვლა და საღვთო საიდუმლოებებში მონაწილეობა, მშობიარობის შემდგომ მეორმოცე დღეს მას უნდა წაეკითხოს ლოცვა - „ლოცვაჲ დედაკაცსა ზედა მეორმოცე დღესა შობისასა“. აღნიშნული ლოცვები პირველად მოიცავდა მადლიერებისა და სიხარულის გამოხატვას ღმერთის მიმართ. მოგვიანებით კი, ლოცვებს დაემატა უწმიდურების ენა.

იუდეო-ქრისტიანულ კულტურაში არსებული ქალის რიტუალური გაუწმიდურების იდეა, უწმინდურების პერიოდის დროითი მსგავსება და აკრძალვები, რომლებსაც ორივე კულტურაში ექვემდებარებიან ქალები, საქართველოშიც აქტუალურია. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პასუხი გასცეს შემგედ კითხვებს: როგორია ქალის რიტუალური გაუწმიდურების იდეა იუდეო-ქრისტიანულ კულტურაში, რას გულისხმობს განწმენდის ლოცვები; როგორი შეხედულებები აქვთ ჩვენს თანამედროვე

სასულიერო პირებსა და ქალებს აღნიშნული რიტუალური პრაქტიკის მიმართ და როგორი ანარეკლი ჰქონდა ქალის რიტუალური გაუწმიდურების იდეამ ქართულ ფოლკლორში.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, იუდეო-ქრისტიანული კულტურა, გენდერი, ქალის რიტუალური გაუწმიდურება, განწმენდის ლოცვები, ქართული ფოლკლორი.

Abstract

In Jewish culture, the ritual impurity of a person can be caused by many external and internal factors. Period of impurity depended on the reason it was caused. During this period, people were isolated from society, especially from the temple. One of the sources of ritual impurity is the female reproductive function. A menstruating female and anyone or anything she touched were considered ritually uncleaned. Therefore, during this period a woman had to be separated from both family and temple. The main sources of ritual impurity of women were menstruation, abnormal and postpartum uterine bleeding.

In Christian culture, a woman's reproductive function has also become the cause of her ritual impurity. Just as in Jewish culture, in Christian culture menstruating women and postpartum women are forbidden to touch shrines. According to Church rules, women are not permitted to enter the temples until forty days after delivery. On the fortieth day, the priest must read a special permissive prayer over her "Churching of the woman". These prayers for the first time included an expression of gratitude and joy to God. Later, the language of impurity was added to the prayers.

The idea of ritual impurity of a woman in Judeo-Christian culture, the similarity of the period of impurity, and the prohibitions to which women in both cultures are subjected, are also relevant in Georgia. The purpose of this paper is to answer the following questions: What is the idea of ritual impurity of a woman in Judeo-Christian culture? What do purification prayers mean? What are the views of our modern clergy and women towards this ritual practice? How does Georgian folklore reflect the idea of ritual impurity of women?

Key words: religion, Judeo-Christian culture, gender, ritual purification of a woman, purification prayers, Georgian folklore.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, მალხაზ სონღულაშვილს, რომლის ემოციურმა თანადგომამ, დაკვალიანებამ და რჩევებმა მომცა ნაშრომზე მუშაობის ძალა.

მადლობას ვუხდი ჩემს ყველაზე დიდ გულშემატკივრებს: მშობლებს, რომელთა გვერდში დგომის გარეშე ვერ შევძლებდი ნაშრომის დასრულებას. ასევე, მადლობას ვუხდი ჩემს ბიძაშვილს (ნათიას), რომელიც მუშაობის პროცესში მუდმივად მაძლევდა სტიმულს.